

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1988 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 46 (6422) 16 აპრილი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

კიდევას დაიზრდებიან...

„დავით, გეზია და ვუძლებთ, ერთი ვკობივართ მრავალთ, უმად არ ვეკუთვნით არავის, თავისუფალნი დავალთ“.

ზ. კახიძე.

(მგლები სიმღერა).

1991 წლის 9 აპრილი, დღე სასწაული, დღე ქართული სულის სევდარევი ამღერებისა, უზომოდ გახსნილი, მხიარული სახეები, სხეულის სწრაფვა ზეცისკენ, დავიწყებული წყენა, სევდენა—კოცნა მტრისა და ნოყვასისა, მილოცვები, მილოცვებო, მილოცვები.

ალბათ დიდი ნიჭია საჭირო, რომ ხალხს უდიდესი მწუხარება უდიდეს სიხარულად გადაუქციო. ასე მოხდა ამ დღესაც და ალბათ იმდროინდელ, რომ არასდროს დაგვაიწყვდეს, თუ ვინ ავიფარეთ ფარად, ვის გვაგებზე გადმოვიარეთ, ვისი მოტანილია ნანატრი თავისუფლება, ავადმოსაგონარი წლები, მილიონობით ქართველი შეუძლებელმხენილი, სევდიანი, გაუხარელი მიებარეთ დატყვე-

ვებულ ქართულ მიწას და მხოლოდ ჩვენ გვერგო განგვიცადა სანშობლოს განთავისუფლების სანუგარი, დიადი წამი. თუნდაც მარტო ამისათვის ღირდასიცოცხლე, უფალო ნუ დავინანებთ, მოგინახულოთ სამშობლოსათვის წამებულ ქართველთა სევდიანი საფლავები, ჩავდახოთ, რომ საქართველო თავისუფალია, რომ ქართველმა ერმა მოიხსნა ბოროტი, რომ მათი ნაშთი არასდროს არ შებლაღვენ იმ სისხლს, რომელიც თავისუფლებისათვის დაიდგარა, რომ:

კიდევას დაიზრდებიან

ალგეთს ლეკვები მგლისანი,

ისე არ ამოწყდებიან,

ჩვენი შესკამონ მტრისანი“.

მტერი კი აურაცხელი და ძლიერი და შიში... სიხარულმა არ მოგვადუნოს. სიმართლის ხმალი არ დაგვიჩლუნვოს, თორემ განაწყენებული „მრავალთა ვანი ურჩხული“ გამალებით

ფიქრობს, როგორ აგვიტიროს ღედები, მეუღლეები, შვილები და იმედი: ქართველთა გენმა გაიღვიძა, შეუდრეკელია ქართული სული, შეუძლებელი გახდა მისი სიკვდილით დორგუნვა, ამ სულმა უნდა გვიბიძგოს კეთილგონიერებისკენ, ერთიანობისკენ, ჩაგვადგინოს საქართველოს ფაქტური თავისუფლებისაკენ სავალი გზები.

„გათენდა...“

თავისუფლება სულს ისე

მოსწყურდა,

ვით დაჭრილ ირმების გუნდს

წყარო ანკარა...“

ასეთ საქართველოს, ქრისტიანულ, ერთიან, მთლიან საქართველოს გაუმარჯოს.

საქართველოს თავისუფლების აღდგენას, საქართველოს ფეხზე წამოდგომას გილოცავთ, მეგობრებო!

დ. სანთელაძე,

მელსინკის კავშირის წევრი.

ამ დღეს ველოდი...

ბედნიერი კაცი ვარ. ველოდი და კიდევ მოვესწარ, საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა აღიდგინა. ჰყავს თავისი პრეზიდენტი. უკვე რვა ათეულ წელს ვარ მიღწეული, მაშინ ბავშვი ვიყავი, როცა სისხლში ჩაახშვე ქართველი ხალხის ნება და დამოუკიდებლობა წაართვეს. აი, დღეს საქართველოს ახალმა მთავრობამ უდიდესი რისკი და ბრძოლა გასწია იმისათვის, რომ 1921 წელს დაკარგული თავისუფლება ჩემი ხალხისათვის დაებრუნებინა. და ქართველი კაცისთვის ცრემლიანი 9 აპრილი საქართველოში დამოუკიდებლობის

აღდგენის დღედ გამოცხადებინა.

საქართველო ამიერიდან ახალ ცხოვრებას იწყებს. ჩვენთვის, ქართველი ხალხისათვის, იწყება მეტად ძნელი და ეკლიანი გზა, ორმაგი შრომით, ერთმანეთის ერთგულებით და გატანით უნდა დავგაბნოთ მტერი და ყველას დავანახოთ, თუ რა შესძლებია ქართველ კაცს.

ძნელია, ძალზე ძნელია ეს დღევანდელ პირობებში, როცა სამაჩაბლოში ასე ბარბაროსულად გვიბოცავენ უდანაშაულო ქართველებს, მთელი ღამეები არ სძინავთ, იარაღით ხელში მამაკაცები სოფლის საღარაჯოზე დგანან, არ იციან, როდის დაეხმებათ თავს დაჭირებულნი, თავსშეშებული ბანდიტები, რომლებიც ყოველგვარ აღვირახსნილობას ეწვევიან საქართველოს ამ ძველი-

სძველმიწაზე, მაგრამ რას ვიზამ, საქართველოს არასდროს უცხოვრია მტრის გარემოცვის გარეშე და ასეა დღესაც. ჩვენ კი ვალდებული ვართ დავეხმაროთ ჩვენს ძმებს, ლეჩხუმელი კაცი ისე არ დაძაბუნდება, ისე არ დაღარბდება, რომ მარტო საკუთარი სარჩო-საზადებლის ამარა დატოვოს ოჯახი, მოძმისა და მოკეთის დასახმარებელი არა ექნეს რა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ უფრო დიდი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის წინაშე დააყენა ქართველი კაცი, ამიერიდან ჩვენს გასაჭირს ჩვენვე უნდა მივხედოთ და მარტო არ მივტოვებთ, დახმარების ხელს გავუწვდით ჩვენს მოძმეებს.

ა. ნემსფერიძე,

შრომის ვეტერანი, სოფ. ქვედა ცაგარი.

გაზაფხულის ყოველი დღის მაქსიმალური გამოყენება წლის მოსავლის გარანტიაა და ამიტომ ახლა მიწას უნდა მივეშვილოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა ფეხზე წამოვყენოთ.

ხენას შეუდგენ

მიმდინარეობს ხვნა

ლასურიაშის კოლმეურნეობის დეხვირის უბანში (აგრონომი ჟორა ახვლედიანი, ტრაქტორისტი ელგუჯა ახვლედიანი), უკვე დახსულია ორი ჰექტარი ფართობი. ამ

უბანში სამარცვლედ დასახნავი სულ 8 ჰექტარია.

ლასურიაშის კოლმეურნეობაში წელს 140 ჰექტარზე უნდა დათესონ სანარცვლე სიმინდი. ამინდები ხელსაყ-

14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის პირველი

მომხმარებელი უზენაესი საბჭოს პირველი

საგანგებო სხდომაზე მიიღო დადგენილება საქარ-

თველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებ-

ოების შემოღების შესახებ და საქართველოს რე-

სპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია გაბრიელ ჯვიალ

გამსახურდია. ვუდოცავთ განახლებულ საქართვე-

ლოს პირველ პრეზიდენტს ხალხის დიდ ნდობას.

ვულოცავთ

საოცარი სისწრაფით ვითარდება მოვლენები საქართველოში... 31 მარტის რეფერენდუმის მართლაც განსაცვიფრებელი შედეგები, 9 აპრილის ორი წლისთავი და პარლამენტის სვანგებო სესიონი ნანატრი დამოუკიდებლობის გამოცხადება, 14 აპრილს კი ქართული ენის დაცვისათვის კომუნისტური რეჟიმის პირობებში გამართული ახალგაზრდობის პირველი გახედილი მანიფესტაციის ნეცამეტე წლისთავზე საქართველოს პარლამენტმა ერთსულოვნად აირჩია საქართველოს პრეზიდენტად უპირველესი გრენული მოღვაწე, მწიგნობარი და მანუალოზი ბატონი ჯვიალ გამსახურდია, ერისკაცი, რომლის სიცოცხლე მამულის სანსახურში დიდფრულდება, ჩვენ

ვალდებულნი ვართ მის ნაკვალევზე ვიაროთ, თუ მართლა გვინდა საქართველოს ნანატრი თავისუფლების მოპოვება. რაიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პროფკავშირული ორგანიზაციების ათასობით წევრის სახელით ვულოცავ ბატონ ჯვიალ გამსახურდიას პრეზიდენტობას და მსურს დავარწმუნო, რომ ერთსულოვნად მივცემთ ხმას 26 მაისს საყოველთაო სახალხო არჩევნების დროს მხოლოდ პრეზიდენტობას.

მელსი ყურაშვილი,

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცაგარის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

თანადგომის

დღეს გლეხკაცის, ინტელიგენტის თუ მეშის, ახალგაზრდობისა თუ ძველი თაობის საუბრის თემა 1991 წლის 9 აპრილია. თითოეული ოჯახი სუნთქვას შეკრული უსმენდა რესპუბლიკის პარლამენტის სხდომის ტრანსლაციის, სხდომისა, რომელშიც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

დღევანდელ საქართველოს თავისი სანუგარი მიზნისაკენ სწრაფვაში ერთიანობა და შრომაში თავდადება მართებს. ჩვენ ჩვენი მარჯვენი მანქანა-დანადგარებთან თუ ველ-მინდვრებში საქმე უნდა ვაკეთოთ პატიოსნად, ხარისხიანად, რათა დაგვლიოთ ის სიძნელები, რომელიც წინ გველოდება სახელმწიფო დამოუკიდებლობის სრული აღდგენისათვის. მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ იმ დიდ საქმეში, რასაც ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება ჰქვია.

თაბორელი თენგიზ ბაკურაძის ოჯახიც ალტაცებით შეხვდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ჯვიალ გამსახურდიას განცხადებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გა-

სურვილი

მოცხადების თაობაზე, მისი სურვილი ახლა ერთიან-თავისი შრომისუნარიანობა და მთელი ენერგია დამოუკიდებელი საქართველოს სიკეთეს მოახმაროს.

სამი შეილის მამა შრომას არც არასდროს გაუბოღდა. მიწა იყო, არის და იქნება მისი სიმდიდრის წყარო. ახალგაზრდობიდანვე ცხოვრების გზა შრომით დაიწყო, პირნათლად იხდის თავის მოვალეობას ქვეყნის წინაშე—ნამდვილი მშრომელი, პატიოსანი კაცი. მთელი გულმოდგინებით უელის იჯარით აღებულ ზეარს და სასიამონდ ფართობებს. ბევრი სიხარული განუცდია და სინანულიც, მაგრამ მიწისადმი მისი დამოკიდებულება არ შეუცვლია. კარგად დაიწყო წლებადელი სამეურნეო წელი, ვაზი გასხლდა, აშენა, დაამაგრა და რიგთმორი სებს ამუშავებს, ახლა კი შრომას მერტი ხალისი შეემატა, განა მარტო თავისთვის უნდა იშრომოს, ქვეყანასაც ხომ უნდა მისი შრომის წვლილი, რაც უფრო მეტი იქნება ეს წვლილი, მით უფრო კაცურკაცობაა, გაჭირვების ეამს სხვისაც ხომ უნდა დაეხმაროს. ამიტომაც ნამეტ პროდუქტებს სახელმწიფოს მიჰყიდის, ერთი სული პირუტყვი საზოგადოებრივი მეურნეობიდან მოსაგლეულად ჰყავს გაყვანილი. უნდა ამრავლოს, თავსაც არგოს და ქვეყანასაც.

თენგიზ ბაკურაძე ის კაცია, რომელიც გაორმაგებული შრომით, კაცურკაცობით თავის წვლილს შეიტანს თავისუფალ საქართველოს ეკონომიკურ ძლიერებაში.

ბ. ბაქრაძე.

უპარტიო, დამოუკიდებელი
ჯემალ ჩიკვაძე-დაბა-
დებულო 1940 წელს. მონ-

გემალი ჩიკაიძე დაბადებული 1940 წელს, ეკონომისტი, სახელმწიფოს ცაგერის ინსპექციის უფროსი, მცხოვრები ცაგერში. უპარტიო, დამოუკიდებელი.

ქვედა ცაგერის სოფლის
საქრებულოში

ნუნუ ახვლედიანი—დაბადებული 1954 წელს, ეკონომისტი, საგზაო სამმართველოს ეკონომისტი, მცხოვრები ცაგერში, ილია მართლის საზოგადოების წევრი, მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს რაიონული ორგანიზაციისაგან.

ავთანდილ ბერიძე — დაბადებული 1947 წელს, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურენი, მცხოვრები გვესლოში. სდგპ წევრი, სდგპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვლადიმერ ბერიძე — დაბადებული 1903 წელს, პენსიონერი, მცხოვრები გვესოში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მეზარ გუგავა — დაბადებული 1955 წელს, ინჟინერი, სდკპ ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი, მცხოვრები ქვედა ცაგერში, სდკპ წევრი; სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ამირან კვირკაშვილი —
დაბადებული 1957 წელს,
ინჟინერი, ცაგერის საგზაო
სამმართველოს ინჟინერი,
მცხოვრები ჩხუტელში, უპ-
არტოს, „მრგვალი მაგიდა-
თავისუფალი საქართველო-
ს“ რაიონული ორგანიზა-
ციის საგან.

გიორგი კვირკაშვილი—
დაბადებული 1961 წელს,
ინჟინერი, რაიონის ან-
ალგაზრდული კავშ-
ირის თავმჯდომარე, მცხოვ-
რები ჩხუტელში, უპარტიო,
დამოუკიდებელი.

გრიგოლ კვირკაშვილი —
დაბადებული 1964 წელს,
აგრონომი, დროებით უმუ-
შევარი, მცხოვრები ჩხუტ-
ელში, უბარტო, „მრგვალი
მავდი-თავისუფალი საქარ-
თველოს“ რაიონული ორგა-
ნიზაციისაგან.

ქარლო კვირკაშვილი —
დაბადებული 1940 წელს,
ინჟინერი, რაიონის მთავარ
არქიტექტორი, მცხოვრ-
ები ჩხუტელში, სდკპ წევ-
რი; სდკპ ცაგერის რაიონუ-
ლი ორგანიზაციისაგან

თამაზ კოპალიანი—დაბ-
დებული 1954 წელს, ინჟი-
ნერი, ბუნების დაცვის ინ-
სპექტორი, მცხოვრები ჭა-
ლისთავში, უბარტოი,
„მრგვალი მაგიდა“—თავის
უფალი საქართველოს“ რაი-
ონული ორგანიზაციისაგან.

კარლო კობახიანი—დაბ-
ადებული 1959 წელს, ინჟ-
ინერი, დროებით უმუშევარ-
ი, მცხოვრები ჭალისთავში,
სდაპ წევრი, დამოუკიდებ-
ელი.

(დასასრული მე-4 გვრდზე).

საგერის რაიონის საკრებულოები არჩეული დეპუტატები

(დასასრული)

შოთა კოპალიანი — დაბადებული 1959 წელს, ინჟინერი, კირის დამმუშავებელი კოლმეურნის თავმჯდომარე, მცხოვრები ქალისთავში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

თინათინ ლეთოდიანი — დაბადებული 1960 წელს, აგრონომი, სათაო პარკისპირის აგრონომი, მცხოვრები ქვედა ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გელა მამარდაშვილი — დაბადებული 1939 წელს, აგრონომი, ხის დამმუშავებელი სამშენის უფროსი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ლია მუშუდიანი — დაბადებული 1937 წელს, აგრონომი, ქვედა ცაგერის საოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, დამოუკიდებელი.

ზურაბ საღინაძე — დაბადებული 1950 წელს, ცაგერის კოლმეურნობის კოლმეურნე, მცხოვრები ქვედა ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბადრი სვანიძე — დაბადებული 1965 წელს, ბუღალტერი, დამზადების გაერთიანების ბუღალტერი, მცხოვრები ჩხუტელში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავის-

უფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

დენა სილაგაძე — დაბადებული 1943 წელს, მძღოლი, საგზაო სამმართველოს ავტომანქანის მძღოლი, მცხოვრები ქვედა ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ივანე სილაგაძე — დაბადებული 1940 წელს, მძღოლი, საგზაო სამმართველოს ავტომანქანის მძღოლი, მცხოვრები ლახანაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

თამაზ ქარსელაძე — დაბადებული 1951 წელს, აგრონომი, ჩხუტელის კოლმეურნობის გამგების თქმდომარე, მცხოვრები ჩხუტელში, უპარტიო, დამოუკიდებელი.

გელა ხვადგია — დაბადებული 1926 წელს, პედაგოგი, ქვედა ცაგერის სასოფლო სკოლის აღმასკომის თავმჯდომარე, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ჯიმშერ ხმელიძე — დაბადებული 1940 წელს, ჩხუტელის კოლმეურნობის კოლმეურნე, მცხოვრები ლახანაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

მადამ ცაგერის საკრებულოში

გულნარა ასათიანი — დაბადებული 1954 წელს,

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის მუშა, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნატო ასლანიკაშვილი — დაბადებული 1964 წელს, რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების ინსპექტორი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ნუნუ ბაბუხაძე — დაბადებული 1946 წელს, პედაგოგი, ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის შრომისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, დამოუკიდებელი.

მერაბ ბერუჩაშვილი — დაბადებული 1963 წელს, დროებითი უმუშევარი, მცხოვრები ცაგერში, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ეხტანგ ვაბაიანი — დაბადებული 1927 წელს, პედაგოგი, არდასის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მანანა გორგასლიძე — დაბადებული 1954 წელს, პედაგოგი, ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ნურმან გუგავა — დაბადებული 1937 წელს, ტექნოლოგი, ცაგერის ღვინის ქარხნის უფროსი მელნიკი, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვახტანგ დარახველიძე — დაბადებული 1932 წელს, მეტყვე ინჟინერი, ცაგერის სახელმწიფო სატყეო

მეურნეობის დირექტორი, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, დამოუკიდებელი.

ჯიბილო მიქაძე — დაბადებული 1933 წელს, პედაგოგი, ცაგერის № 91 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გურამ მუშუდიანი — დაბადებული 1940 წელს, მექანიზატორი, № 91 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

დავით მუშუდიანი — დაბადებული 1949 წელს, პედაგოგი, ცაგერის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

დათო სანთელაძე — დაბადებული 1957 წელს, პედაგოგი, № 91 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით ღარში, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯემალ საღინაძე — დაბადებული 1942 წელს, პედაგოგი, № 91 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯონი ყვირილიანი — დაბადებული 1935 წელს, ექიმი, სახანძრადგურის მთავარი ექიმი, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გურამ ყურაშვილი — დაბადებული 1950 წელს,

ვეტიკარმატორი, ცაგერში, სდკ წევრი, დამოუკიდებელი.

მიხეილ ყურაშვილი — დაბადებული 1931 წელს, აგრონომი, ცაგერის ავტოპროფილაქტიკის უფროსი, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გრიშა ჩიქოვანი — დაბადებული 1931 წელს, სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, სდკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნოდარ ცვარიანი — დაბადებული 1947 წელს, ინჟინერი, სოცურბუნველყოფის განყოფილების გამგე, მცხოვრები ცაგერში, სდკ წევრი, დამოუკიდებელი.

შალვა ცვარიანი — დაბადებული 1927 წელს, პედაგოგი, ბარდნაო საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნარგიზა კაბუკიანი — დაბადებული 1953 წელს, ექიმი, ცაგერის რაისაგად მყოფის მთავარი ექიმის მოადგილე დედათა დ ბავშვთა ხაზით, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ანგელინა ხეცურიანი — დაბადებული 1944 წელს, პედაგოგი, № 91 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტი

ნათელა შორას ასულ საღინაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარე და იღვგრძელე მარადიანს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

ოყურების საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ქეთიწო, ნატო, ლია, კუპიკო მახაროზიძეებს

გილოცავთ თამრიკოს ბედნიერებას. ფუძემდებელი და ბედნიერი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.

მაკა, ციცინო, ზაზა ხეცურიანები, იზა, ირაკლი ჩაკვტაძეები.

ელისო შოთას ასულ ლეთოდიანს

ელისო დედა, გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი ლამაზი ოჯახით.

გურანდა, ლევან გასვიანები.

ნაზიკო, თამარ ონიანებს

გილოცავთ შვილისა და დის-მზიას ბედნიერებას. ღმერთისაგან დალოცვილი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.

ჯემალ კოპალიანი ოჯახით.

მეუღლე მარო, შვილები ნესტანი, ხატია ქვარიანები, სიძე გენადი, შვილშვილები ასათი, ზურიკო გოდერძიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვილგემ ქვარიანი.

ცაგერის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ ეკა ბენდელიანს ბაბუის მეთოდ მურცხვალაძის გარდაცვალების გამო.

მედიკო, რიმა, გოგუცა, რაინდი ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან დედაშვილის

ვილგემ ალექსანდრეს ძე ქვარიანის გარდაცვალებას.

უახლოესი მეზობლები თამაზ ახვლედიანი, დიდიმი, ჯიმშერ, ჯამბულ, ჯუკუა ბანელაძეები, კერასიმე, მურად, ლევან, გურამ, თემურ კენჭაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვილგემ ალექსანდრეს ძე ქვარიანი.

როზეტა ქვარიანი, ნონა, ნარგიზა, ნელი, რობერტ ასათიანები, ცირა, ცარო გაბიაშვილები, მერი ყურაშვილი, ლეილა მახაროზიძე, სვეტლანა ნემსწვრიძე თანაუგრძნობენ გულნაზი ქვარიანს ძმის

ვილგემ ქვარიანის გარდაცვალების გამო.

ოთარ ხეცურიანი, ნორა ლარკულიანი, მაყვალა ცხედიანი, ლილი დავითულიანი, ნუნუ გელენიძე, ნანა ხეცურიანი, ნანი ქოშეთიანი, ნანული მეშველიანი, მზია ჩანჭელიანი, მანანა ხეცურიანი თანაუგრძნობენ ლეილა და ჯუმბერ ნემსწვრიძეებს დედისა და სიდედრის

ქრისტინე ბენიძის გარდაცვალების გამო.

ინდისი, იუზა, ჯუმბერ, ოთარ, ამირან საღინაძეები ოჯახებით იუწყებიან

ქრისტინე ბესარიონის ასული საღინაძე-ბენიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლენინი“ გამოდის

* საშუაბათს

* ხუთშაბათს

* შაბათს

ჩვენი მისამართი: 284100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ბილფონი: რედაქტორის — 22-81,

რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელ მდივნის — 22-84, სახალხო მეურნეობის განყოფილების

— 22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების — 22-41, სტამბის დირექტორის — 22-17, სამწყობო

სამქროს — 22-28

შეკვეთა № 41 ბირაში 4800

რედაქტორი

ნოდარ

ნემსაძე